ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თჳისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვითარ ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 17 1883—1893 15 სექტემბერს.

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თთვით	5 მან.	12 თთვით	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
Въ Кеирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავთ გამოგზავნილნი ვრცლად და განსაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თთვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მაიის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ი ს ე ი დ ე ბ ა

სამრთო სჯულის სასწავლო წიგნი რუსულს და ქართულს ენაზედ ერთად, გამოცემული დეკ. დავით დამბაშიძისაგან.

ფასი უყიდოთ 50 კ., ყიდით 60 კ.

მარტო ქართულ ენაზედ

ფასი უყიდოთ 30 კ., ყიდით 40 კ.

ეს წიგნი მოწონებელია უწმ. სინოდისაგან და მიღებულია სახელმძღვანელოდ სამრევლო და სახალხო სკოლებში. ვინც პირდაპირ „მწყემსის“ სტამბიდამ დაიბარებს არა ნაკლებ ათი ცალისა, მას მანეთზედ ერთი აბაზი დაეთმობა.

რა მდგომარეობაშია სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოს საეკლესიოს სასულიერო სასწავლებლებში?

1890, 91 ⁊ 92 წლებში ჩვენი გამოცემის ზოგიერთ წერილებში ჩვენ ადვნიშნეთ, თუ როგორ მიდის სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენი მხარის საერო უწყების სასწავლებლებში. დღეს კი გვსურს გავაცნოთ მკითხველები, თუ რა მდგომარეობაშია სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში ამ უკანასკნელ წლებში.

სწავლა-აღზრდის საქმეში როგორც 1867 წლამდე ისე შემდეგ დიდი ცვლილება მოხდა, განსაკუთრებით სასულიერო უწყებაში ჯერ ძოთ ჩვენს საეკლესიოში. 1867 წლიდგან სასულიერო სასწავლებლების რიცხვმა ერთი სამად იმატა, ნაცვლად უვარგისი შენობებისა, აშენდენ შესაფერი სახლები სასწავლებლებისათვის, უვარგისი და მოუმზადებელი მასწავლებლების ნაცვლად დაინიშნენ შესაფერად მომზადებულნი პირნი მასწავლებლის თანამდებობისათვის და ჯამაგირებიც საკმაოდ მოემატათ, მოწაფეთა ნივთიერი მდგომარეობაც გაუმჯობესდა. ყოველივე ეს ცვლილება მოახდინა სასულიერო სასწავლებლების ახალმა წესდებამ. ამ წესდების ძალით ააშენეს და დღესაც აშენებენ სასწავლებლებისათვის შენობებს შედგოგიკის მოთხოვნილების თანახმად. მასწავლებლებს ჯამაგირებს გარდა დაინიშნათ დამატებითი ჯამაგირები (добавочное жалованье), თითოეული პანსიონერის შესანახავად წელიწადში 40—50 მანეთის მაგიერ დაინიშნა 100—150 მანეთამდე, ხოლო გიმნაზიებში—250—300 მანეთი. სასწავლებლებში მასწავლებლებად ინიშნებიან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი პირნი. სასულიერო სასწავლებლების ახალი წესდების ძალით სამდვდელოებას უფლება მიენიჭა გამონახოს სხვა-და-სხვა წუაროები თავიანთი სასწავლებლების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ერთი სიტუვით ყველაფერი სასურველად მოეწყო და ასეთი მოწყობილი სასწავლებლებიდამ თვითოეული ჩვენგანი დიდ ნაყოფს უნდა მოელოდეს. მაგრამ როცა კარგად დაუკვირდებით სწავლა-აღზრდის საქმის მიმდინარეობას ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში, სულ სხვა სურათი გეხატებათ თვალწინ. ყოველივე ამ ცვლილებისა და სასწავლებლების ნივთიერად განკარგებისა ჯ გაუმჯობესობის შემდეგ სწავლა-აღზრდის საქმეში ასეთივე ცვლილებას ჯ წარმატებას ვერ ვამჩნევთ, თუმცა ეხლანდელი ზოგიერთი მასწავლებლები ხიზდით იხსენიებენ თავიანთ წინამოადგილებს ჯ არც უწინდელ დროში სწავლა-აღზრდის საქმეში ხმარებული წესწყობილება მოსწონთ. 1 67 წლამდე ოთხ-კლასიანი სასწავლებლის შენახვა მთავრობას 3000—4000 მანეთი უჯდებოდა. ასეთი სასწავლებელი წელიწადში 20—25 ჯეროვანად მომზადებულ მოსწავლეს იძლეოდა. დღეს ამგვარივე სასწავლებლის შენახვა მთავრობას ჯ სამდვდელოებას უჯდება წელიწადში 12—15 ათასი მანეთი ჯ ასეთი სასწავლებელი წელიწადში იძლევა 30—35 მომზადებულ მოსწავლეს. ამ სიტუვებით ის კი არ გვინდა ვსთქვათ, ვითომ უწინდელი წესები სწავლა-აღზრდის საქმისა უმჯობესი იყო ეხლანდელზე. არა. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა ვსთქვათ, რომ სასულიერო სასწავლებლების შესანახავად დღეს ერთი სამად მომეტებული ხარჯი მიდის ჯ ასეთი სასწავლებლები არ იძლევიან იმ რიცხვს მომზადებულ მოწაფეთა, რომელიც მოსალოდნელი იყო მათგან. ვინ არ ხედავს, რომ დღეს გაცილებით უფრო ბევრია ჩვენს ხალხში სწავლა-განათლების მიღების მსურველი, ვინემ უწინდელს დროში იყო და ასეთი სურვილის გაძლიერების დამამტკიცებელია სასწავლებლების რიცხვის მომატებაც. მაგრამ ამ სასწავლებლებში ძლიერ ცოტანი ამთავრებენ სწავლას. ამ ანორმალურ მოვლენას ვერც კი შეამჩნევთ, თუ კარგად არ დაეკვირდებით სწავლა-აღზრდის საქმეს ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში. ჯეროვანი დაკვირვების შემდეგ ცხადად რწმენდება კაცი, რომ ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის საქმეს მოსალოდნელი წარმატება არ ეტყობა. რომ ცხადათ დაუმტკიცოთ მკითხველებს ჩვენი ნათქვამი სიტუვების სინამდვილე, საჭიროდ მიგვაჩნია დავასახელოთ ზოგიერთი ფაქტები.

ჩვენ ხელთ გვაქვს საქართველოს საეკლესიოს ყველა სასულიერო სასწავლებლების მოწაფეთა სიები. პირველად მოგვყავს სტატისტიკური ცნობები, თუ როგორ მიდიოდა და ან დღეს როგორ მიდის სწავლის საქმე ჩვენს

ერთად ერთ საშუალო სასწავლებელში — თბილისის სასულიერო სემინარიაში 1890, 91, 92 ᲓᲐ 93 წლებში.

189⁰/₁ სასწავლო წელიწადი.

კლას.	წარმატ.	განმ.-ეკზ.	დარჩენ.	დათხ.	სრული
I	63	25	4	5	97
II	43	34	4	2	83
III	50	36	1	6	93
IV	37	14	2	1	54
V	46	7	—		53
VI	45	2	—		47
სრულ.	284	118	11	14	427
ნაასალი	66,5%	27,6%	2,6%	3,3%	

189¹/₂ სასწავლო წელიწადი.

კლას.	წარმატ.	განმ.-ეკზ.	დარჩენ.	დათხ.	სრული
I	50	25	13	8	96
II	59	15	11	7	92
III	20	31	15	1	67
IV	36	22	16	9	83
V	31	13	4	1	49
VI	51	—	—	—	51
სრულ.	247	106	59	26	438
ნაასალი	56,4%	24,2%	13,5%	5,9%	

189²/₃ სასწავლო წელიწადი.

კლას.	წარმატ.	განმ.-ეკზ.	დარჩენ.	დათხ.	სრული
I	40	29	17	24	110
II	27	34	9	7	77
III	34	23	12	12	81
IV	25	24	6	4	59
V	31	17	4	3	55
VI	32	9	—	1	42
სრულ.	189	136	48	51	424
ნაასალი	44,6%	32,1%	11,3%	12%	

ეხლა მოვიყვანთ ცნობებს, თუ როგორ წარმატებით სწავლობენ მოწაფეები სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლებში ამ 189²/₃ სასწავლო წელიწადში.

თბილ. სასულ. ოთხ-კლასიანი სასწავლებელი.

	კლას.		და რიცხვი მოსწ.	
მოსამზ.	I	განყ.	22	სრულიად
„	II	განყ	30	
„	III	განყ.	44	236.
	I	კლას.	43	
	II	„	36	
	III	„	31	
	IV	„	30	

მეოთხე კლასიდამ გაგზავნილა სემინარიის პირველ კლასში პირველი რიგით 6, მეორეთი — 12. სულ 18; გაუთავებია კურსი 7. განმეორებითი გამოცდა დანიშვნია 3 და დარჩენილა 2.

სემინარიაში გაგზავნილ პირთა რიცხვი შეადგენს 60% ნაასალს მეოთხე კლასის მოსწავლეებისას, ხოლო 7,6% მთელს სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვისას.

ქუთ. სასულ. ოთხ-კლასიანი სასწავლებელი.

ორივე განყოფილებაში:

დასწ.	მოსამზ.	81	სრულიად
—	მეორე	94	
—	ზედა	90	534
I	კლასი	84	
II	—	77	
III	—	70	
IV	—	76	

მეოთხე კლასიდამ გაუგზავნიათ სემინარიის პირ. კლასში 19 მოსწავლე პირველი რიგით; ხოლო მეორე-კურს გათავებული სრულიად არ გაუგზავნიათ; უთავებია კურსი მეორე რიგით 29, დამატებითი გამოცდა დანიშვნია 27.

სემინარიის პირველ კლასში გაგზავნილ მოწაფეთა რიცხვი შეადგენს 25,3% ნაასალს ᲛᲔᲝᲗᲮᲔ კლასის მოსწავლეთა რიცხვისას; ხოლო 3,6% მთელ სასწავლებლის მოსწავლეთა რიცხვისას.

გორის სასულიერო სასწავლებელი.

მოსამზ.	I განყ.	49	სრულიად
„	II „	51	
„	III „	48	271.
	I კლ.	42	
	II „	29	
	III „	29	
	IV „	23	

მეოთხე კლასიდამ გაუგზავნიათ სემინარიის პირველ კლასში პირველი რიგით ხუთი, მეორეთი სამი, სულ რვა.

სემინარიაში გაგზავნილ მოწაფეთა რიცხვი შეადგენს 34,8% ნაასალს მეოთხე კლასის მოწაფეთა რიცხვისას და 2,9% ნაასალს მთელი სასწავლებლის მოწაფეთა რიცხვისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელავის სასულიერო სასწავლებელი.

მოსამზ.	I განყ.	40	სრულიად 226
—	II „	41	
—	III „	38	
	I კლ.	33	
	II „	30	
	III „	24	
	IV „	20	

მეოთხე კლასის მოწაფეთაგან სემინარიის პირველ კლასში გაუგზავნიათ პირველი რიგით ცხრა, მეორე—6, სულ 15, კურსი დაუსრულებია ორს, დარჩენილა განმეორებითი კურსზედ 3.

სემინარიაში გაგზავნილ მოწაფეთა რიცხვი შეადგენს 75% ნაასალს მეოთხე კლასის მოწაფეებისას, ხოლო 6% ნაასალს სასწავლებლის ყველა მოწაფეთა რიცხვისას.

ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი.

მოსამზადებ.	II განყ.	36	სრულ. 217
—	III „	43	
	I კლ.	47	
	II „	40	
	III „	30	
	IV „	21	

მეოთხე კლასის მოწაფეთაგან გაუგზავნიათ სემინარიის პირველ კლასში პირველი რიგით 12, მეორეთი 3, სულ 15, დაუსრულებია სწავლა ხუთს, განმეორებითი ეგზამენი დანიშნია 1.

სემინარიაში გაგზავნილ მოსწავლეთა რიცხვი შეადგენს 74,% ნაასალს მეოთხე კლასის მოწაფეებისას და 6,9% ნაასალს მთელი სასწავლებლის მოწაფეთა რიცხვისას.

დეკ. დ. ლამბაშიძე

(შემდეგი იქნება).

რა დააშავეს ამ საცოდავმა მედავითნეებმა, რომ მათი სამსახური ასე დამცირებულია?

უმაღლესი მთავრობა დიდის ხნიდამ ცდილობდა გაეუმჯობესებია ნივთიერი მდგომარეობა სოფლის სამღვდელოებისა. ღღეს, ღვთის მადლით, ეს დიდი ხნის სურვილი, თითქმის, სისრულეში მოდის. მთავრობამ უკვე დაადგინა, რათა სოფლის სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადადებულ იქმნეს ყოველ წლობით ასი ათასი მან, ამ ფულებიდამ სამღვდელოებას თან-და-თან მრავალტება ჯამაგირი, ეიდრამდის თვითოეული მღვდლის შემოსავალი სამრევლოდამ და ხაზინიდამ არ ავა 600 მანეთამდე.

ღღეს საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვსთქვათ საეკლესიო მოსამსახურეთა ერთ ფრიად დიდ საჭიროებაზე. ღღემდის არ არსებობს მედავითნეთათვის პენსია, და ამიტომ საბრალო მედავითნენი მოხუცებულობის დროს, როცა უადგილოდ რჩებიან, უნუგეშო მდგომარეობაში ეარდებიან. თუ კი მღვდელს და მთავარ-დიაკონს ენიშნება პენსია 35 წლის სამსახურისთვის, რატომ მედავითნეებს კი არ უნდა ეძლეოდეს პენსია; განა ეს უკანასკნელნი პირველებზე ნაკლებად მუშაობენ? მედავითნე არის თანაშემწე მღვდლისა ყოველს მის მღვდელ-მოქმედების დროს, იგინი ასწავლიან აგრეთვე საეკლესიო-სამრევლო სკოლებში და აწარმოებენ ყოველივე საეკლესიო საბუთებს; ერთი სიტყვით საბრალო მედავითნენი მღვდლებთან და მთავარ-დიაკვნებთან ერთად მოქმედებენ და ილვწიან სასარგებლოდ ეკლესიისა და სარწმუნოებისა. მედავითნეებს ნიშნავს მთავრობა და კანონით იგინი ირიცხებიან სახელმწიფო სამსახურში და ამიტომ მათზედაც უნდა ეროცელდებოდეს პენსიის წესდება, რომლის ძალით სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირთ ენიშნებათ პენსია სამსახურიდამ დათხოვნის დროს.

მედავითნეს თავის დღიური მცირე შემოსავლისაგან არ შეუძლია რაიმე გადაანარჩუნოს იმ დღისათვის, როცა მას სამსახური აღარ შეეძლება და რადგან პენსიაც არ ეძლევათ, ისინი იძულებულნი არიან უკანასკნელ დღემდე დარჩნენ თავიანთ თანამდებობაზე, რომ შიმშილით არ დაიხოცნენ. ეს არის მიზეზი, რომ ზოგიერთ მედავითნეებს სრულებით აღარ შეუძლიათ სამსახური მოხუცებულობისა გამო, მაგრამ ძალა-უნებურად რჩებიან თავიანთ ადგილზე. ეის არ უნახავს სოფლებში ძალზედ მოხუცებულნი საეკლესიო მოსამსახურენი; ყველასათვის ცხადია, თუ რა მკითხველები და მგალობლები უნდა იყვნენ ისინი. კაცმა იმსახურა 35—50 წელიწადი, ეხლა მისთვის საჭიროა მოსვენება, მაგრამ მათ თანამდებობიდამ დათხოვნას არ თხოულობს არც სამრეველო და არც ადგილობითი ეპარქიალური მთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობა, რადგან უწყიან, რომ საბრალო მედავითნეებს პენსია არ ენიშნებათ სამსახურიდამ გამოსვლის შემდეგ. და უკანონობაც არის მათი დათხოვნა. კაცმა იმსახურა მრავალი წელიწადი, იმსახურა ნაყოფიერად და სასარგებლოდ ეკლესიისა და მამულისა და ამისთანა სამსახურის ჯილდოდ დაითხოვო ადგილიდამ და ამით მოუსპო მას უკანასკნელი ლუკმა მოხუცებულობის დროს! და პენსია რომ ყოფილიყო დანიშნული მედავითნეთათვის, მაშინ ადვილად შეიძლებოდა მათი დათხოვნა, როცა პენსიის ვადას შეასრულებდნენ. ამ მხრით პენსიის დანიშვნა როგორც მედავითნეთათვის, ისე იმ საქმისათვის, რომელსაც ისინი ემსახურებიან, დიდ სარგებლობას და საჭიროებას შეადგენს.

აქ ისიც უნდა მივიღოთ სახეში, რომ მედავითნენი თავიანთი სასარგებლო სამსახურისათვის არავითარ ჯილდოს არ იღებენ, გარდა უშუ. სინოდის ლოცვა-კურთხეისა და ხან ოქროს და ვერცხლის მენდალიც ეძლევათ. მაგრამ რომ ეს ჯილდო მიიღოს მედავითნემ, საჭიროა მუყაითად და უბიწოდ იმსახუროს 35—50 წელიწადი. ნუ თუ მედავითნენიც ღირსნი არ არიან, დაენიშნოსთ მათ პენსია ისე, როგორც ეძლევათ სახელმწიფო სამსახურში და კერძო დაწესებულებათა შინა მყოფ პირთ, რომ იგინი მოხუცებულობის დროს ცოტაოდენად მაინც იქმნენ უზრუნველ ყოფილნი. ამას მოითხოვს მედავითნეთა სამსახური და კეთილ-სინდისიერობაც. ამ საქმისათვის მაინც-და-მაინც არც ძლიერ დიდი თანხა იქნება საჭირო. მედავითნეებს რომ წელიწადში 50—60 მან. მაინც დაენიშნოსთ პენსიად, ამ ფულით ისინი ჩინებულად იცხოვრებენ, რადგან სოფელში ცხოვრება იაფად ჯდება და მასთან არც სამრეველოები დატოვებენ მათ უშემწეოდ. გაზეთებში ხშირად ისმის, რომ გარდაწყვეტილია პენსიის წესდების გარდახედვა. თუ ეს ხმა მართალია, მაშინ რიგია ეცადნენ, ვისიც რიგია, რომ საეკლესიო მოსამსახურეებიც ჩაიტანონ პენსიონერთა რიცხვში, ვინაიდგან ეს საეკლესიო მოსამსახურენი სრულებით არ იხსენებიან დღეს მოქმედ «დროებით წესდებათა შინა პენსიის შესახებ და არც ერთ დროებით შეწევნაში ეპარქიალური საეკლესიო უწყების მოსამსახურეთათვის», გამოც. 1862 წ. აქვე ისიც უნდა აღენიშნოთ, რომ ეს «დროებითი წესდებანი» აგერ 30 წელიწადია, რაც მოქმედობს და დღეს საჭიროა მათი შესწორება თანახმად ეხლანდელი დროის მოთხოვნილებისა.

ჩვენი გაუგებრობა

წერილი ლეჩხუმიდან.

„მართალია, მძრახველს ძრახვა
თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარგა სიავისა
ქვეყანას არ მოუხდების!
წამხდენელთა და მბაძველთა
კიდევ სხვაც რამ წაუხდების;
ძრახვაცე სჯობს საძრახვათა,
ძრახვას კაცი მოუფთხვების“.

ეხლანდელს დრო და ქამში, ერთს მხოლოდ ჭკუა-გონებით ასაკში მოუსვლელს ყმაწვილს თუ ეპატიება იმის შეუგნებლობა, რომ ერთად ერთი მთავარი ღონე, ერთად ერთი უტყუარი თამასუქი, როგორც კერძო ადამიანის ისე მთელის ერის ნივთიერის მხრით წარმატებისა და კეთილ-დღეობის მოპოვებისა, არის მხოლოდ ერთი თვით გარჯა-მუშაობა, თითოეულის პირისა ცალკე, და მთელის კრებულისა ერთბამ. რა რომ ადამიანი გაჩენილა დედამიწის ზურგზედ, იმ დროიდამ—ამ დროამდის მხოლოდ იმ ნაწილს კაცობრიობისას მოუპოვია ნივთიერის მხრით წარმატება და კეთილ-დღეობა, რომელთაც უქმობა და გაურჯელობა უარუყვიათ ჯ თვით შრომა-მოღვაწეობა უცვნიათ თავის ცხოვრების წარმატების დედა ელემენტათ, და მასთან თავის ნივთიერი შეძლება და ავლადიდება ეკონომიურის საწყოთი უწყავს და ისე უხარჯავს ხოლმე. პირიქით რომელ ნაწილს კაცობრიობისას თვით გარჯა-შრომა უარუყვია—უთაკილნია, ის ნაწილი ყველგან ყოველთვის ეკონომიურის მხრით გაჭირვებასა და სილატაკეში ყო-

ფილა ჩავარდნილი და არის დღესაც. იმიტომ რომ ეს საეკონომიო კანონი თვით ბუნებისაგან არის დადგენილი, უცვლელი და შეურყეველი. ხოლო ვინც ამ კანონს ყურს არ უგდებს და მტკიცედ არ ასრულებს, ამით იგი ღალატობს, ორგულობს თავის თავს, და ძირს უთხრის თავის ოჯახის ნივთიერის მხრით წარმატებასა და კეთილ-დღეობაზს. ეს ეხლანდელის ყოფა მდგომარეობის მარტივი ჭეშმარიტება ყველას კარგად უნდა ჰქონდეს დანახული და შეგნებული. მაგრამ რა ბრძანებაა, ცხოვრებას რო უკვირდებით ზოგიერთი წოდებისას, პირდაპირ იმ დასკვნამდის მიდიხართ, რომ არა თუ ყველას, ასში ერთსაც თუ აქვს შეგნებული ეს საეკონომიო კანონი და ხელმძღვანელობს მით, ესეც დიდ ღვთის წყალობად მისაგმნელია. ჩვენს მწერლობას ვერავინ უსაყვედურებს მაზე, რომ ამ საგანზედ თავის მოვალეობა არ შეასრულებიოს. გაიკაფა თავის საზოგადოებაში გზა ქართულმა მწერლობამ თუ არა, იმ თავითვე ჩასჭიდა ამ საგანს ხელი. ბევრი საყურადღებო რჩევა და მოძღვრება უძღვნა ბეჭდურის სიტყვით ჩვენს თავად-აზნაურობას, ჩვენს საზოგადოებას, მაგრამ ყველა ეს რჩევა და მოძღვრება ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთა დარჩა თითქმის «ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა», ხშირად განკიცხულიც და უკარყოფილიც. იმიტომ უფრო, რომ ადამიანის გულსა და ხასიათს ერთი დიდი ნაკლი და უსუსურობა აქვს თანდაყოლილი, რომელიც გამოიხატება შემდეგში: თუ თავის აზრისა და რწმენის, თავის მიმართულების ცდომა და გამოუსადეგრობა პირდაპირ ამხილე და აუხსენი ადამიანს, ის ნაცვლად მისა, რომ დარწმუნდეს თავის აზრისა და მიმართულების ცვარგისობაზედ, დაუფიქრდეს შენს აზრსა და რჩევას და რასაც კარგს და გამოსადეგს ურჩევ, შეითვისოს და მით იხელმძღვანელოს ცხოვრებაში, ის შენს ერთგულ და ერთსულ რჩევას რაღაც ეჭვის თვალით დაუწ-ებს ცქერას და ხშირად თავის სახელისა და ღირსების დამამცირებელ მოქმედებათაც მი-მინევს, აი ამ მიზეზით ჩვენის მწერლობის რჩევა-მოძღვრებამ შესახებ მისა, რომ ჩვენმა მაღალმა წოდებამ, თავად-აზნაურობამ, ძველებურ უზრუნველ, გაურჯელ ყოფა-მდგომარეობას თავი უნდა დაანებოს, გამოესალმოს, და თვით გარჯა-შრომის გზას უნდა დაადგესო, ამ წოდების უმეტეს ნაწილის გულსა და გონებაში ფესვი ვერ მოიკიდა, ნაყოფი ვერ გამოიღო. «როგორ თუ ჩვენ თვითონ ვიმუშაოთ!? როგორ თუ ჩვენ თვითონ ოფლი ვღვაროთ ჩვენთა საზრდოთა მოსაპოებლად!? ეს ხომ მას ნიშნავს, ბარი და თოხი ავიღოთ ხელში და ბღენ-კაციით ხვნა-თესვის უღელში გავებათ, მაშინ ხომ შეურაცხყავით, ჩირქი მოესცხეთ ჩვენს მამა-პაპურ მადალ ხარისხს და ღირსებასო, რას გვიწერენ, რა აზრს გვიქადაგებენ ეს შეჩვენებული კალმოსნებიო» და სხ., მოისმოდა და დღესაც მოისმის გრგვინვასავით თავად-აზნაურთა ბანაკიდამ. ამგვარს დროთა შეუფერებელს ამპარტავნობას, ცუდ შედიდებას ის შედეგი მოჰყვა, რომ უმეტესი ნაწილი ამ წოდებისა, რომელიც თვით გარჯა-შრომას სათაკილოდ სთვლის და შორს გაურბის, და მასთან გასავალს ხარჯს შემოსავალს არ უწონის და მეტს ფლანგავს, ნივთიერის მხრით მეტად დაიქვეითა, რეგრესის გზას დაადგა; ჩაიკრა დიდ ძალს ვალებში და აღარ იცის, რა ღონით გამოიხსნას თავი მევახშეების პრჭყალიდამ, ძველი ბატონ-ყმობის დროინდელი ძვირფასი მამულები, შეძენილი მამა-პაპათა მიერ, დღითი დღე ნაწილ-ნაწილად ეცლებათ ხელიდამ, და ამით, რასაკვირველია, ღარიბდება და იცლება ბელღებიცა და ბარნებიც, ეს ერთად ერთი მამა-პაპური თავმოსაწონებელი სიმდიდრე ჩვენებურ თავად-აზნაურთა ოჯახებისა. დიდათ სამწუხარო სურათს წარმოადგენს მნახველთათვის ის ალაგები, სადაც ამ 15—20 წ. წინად სახლებულან რომელიმე თავადნი მშვენიერად მოწყობილ სასახლეებით, ირგვლივ შემორტყმულის ძვირფასის ხეადაბუნებით. დღეს ესენს ადგილებზე აღგვილია ნაშთი სასახლისა და მისთა პატრონთა დიდკაცურად ცხოვრებისა, სამოსახლო ადგილი თვისს ხეადაბუნებით გაყიდულია და გადასული სხვა წოდების ხელში. ამაზე უფრო სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ამისთანა მაგალითების მნახველს ზოგიერთს ნაწილს ჩვენის თავად-აზნაურობისას, უფრო ახალთაობას ხედავთ, რომ თავის დრო და ქამში უქმობაში, სმა-ქეიფში და უსარგებლო დროს გატარებაში ლევს და სრულიადაც არ აფიქრებს და არ აღონებს ეს შემაძრწუნებელი მოვლენანი. „უკეთუ არავინ იშვას მეორედ, ვერვის ხელემწიფების შესაფლად სასუფეველსა ღვთისასაო», ბრძანა ერთ შემთხვევაში მაცხოვარმა. დიაღ, თუ ჩვენი თავად-აზნაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობაც ხელმეორედ არ დაიბადა აზრითა და გონებით, ჭკუითა და მიმართულებით, ისე საიმედო არ არის, თავი შეიმაგროს და თავის წოდების შესაფერად ნივთიერის მხრით უზრუნველ იქმნეს. მაგრამ რა ღონე მოგვეხმარება ამ გაჭირვების ჟამს, რა საშუალება შთაგვერავს ეხლანდელის დროის შესაფერს სულს, რომელი ღონისძიება მოგვანიჭებს გარჯა-შრომისა და საქმიანობის უნარს? ჩვენის აზრით, ერთი მხოლოდ პირდაპირი სარგებლობის მომცემი სწავლა განათლების შეძენა და მოპოვებაა, და ესეთი სწავლა-ცოდნა გახლავთ, სხვათა შორის, უმთავრესად სამეურნეო სწავლა-მეცნიერება. ამგვარის სწავლის შეძენისათვის არავითარი მსხვერპლი არ უნდა დაიშუროს ჩვენმა თავად-აზნაურობამ, რომ თავიანთ შვილებს მიაღებინოს ეს სასარგებლო სწავლა-ცოდნა. ცხადია, სამეურნეო სასწავლებელში კურს დამთავრებული თავადი, ანუ აზნაური შრომა მუშაობას სათაკილოდ აღარ მიიჩნევს, და თავის მამულ-დედულსაც ისე აღარ დაუწყებს ფლანგვას, და ამბაირად თავიდამ აიცილებს იმ საზარელს მოვლენას, რომელსაც უმამულობა და სიღარიბე ეწოდება. ვათავებ ამ წერილს იმ ნატვრით, რომ ჩვენის მაზრის თავად-აზნაურობას მიექციოს ყურადღება ამ საყურადღებო გარემოებისათვის და ვულით და სულით შეს ეგრომოდეს ლეჩხუმში ერთის სამეურნეო სკოლის განყოფილების დაარსებას; და ამ საშუალებით დაეყენებინოსთ მათი შვილები, მომავალი თაობა, წარმატებისა და გონებით განვითარების გზაზედ. მართალია, ჩვენს წერილში ახალი და ჯერეთ უთქმელი აზრი არა გამოგვიხატავს, მაგრამ დღეს თუ ამ საგანზე კიდეე მივაქციე ჩვენი საზოგადოების ყურადღება, პირდაპირ იმ მოსაზრებით, რომ როგორც ეხედავთ,

„ასი გვმართებს გაგონება,
არ გვეყოფის არ ერთ ხელი“.

ქაიხოსრო გელოვანი.

გამტეუნებული იმედი.

შეიძლება ბევრმა ჩვენი გაზ. «მწყემსი»-ს მკითხველებმა იცოდნენ, თუ რა დიდი მითქმა-მოთქმა აღძრა ერთმა რაჭის მაზრის, სოფ. ბოყვას მცხოვრების შუა ხნის გლეხის პეტრე ომიაძის მოქმედებამ. თითქმის ორ-სამ წელიწადზედ მეტი იქნება, რაც ეს გლეხი გამოვიდა და დაიწყო კიბის კეთება თავის სოფლის მიუდგომელს კლდეზე, რომელ კლდეზედაც კიბის გაკეთება ყოველი ოსტატი კაცისათვის მეტად ძნელია, თუ მას არ ეწევა სხვა რაიმე ძალა. «კაცო, ძალსა ნუ იკვეხი, ნურცა მოჰკვეხ ვითა მთვრალი, არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღვთისა ძალი», ამბობს რუსთველი და აქაც არ არის უადგილო ამას თქმა. ვისაც უნახავს ეს კიბე, თუ რა ხელოვნურად არის ნაკეთები ამ კედელივით ფიფალ კლდეზე, მხოლოდ იმას შეუძლია ადვილად დაიჯეროს, თუ რა დიდი შრომა, გაბედულობა, თავის გამომეტება, ღონე, მოთმინება და სარწმუნოება უნდა ჰქონიყო მის მკეთებელს. იმ ადგილს, სადაც ეს კიბე არის გაკეთებული, ჰქვია დედოფლის საყდარი. ეს კლდე სიმაღლით რამოოენიმე ათასი ფუტი იქნება. კედელივით სწორი სალი კლდე იქნება სამოც საჟენზე მეტი. ამ სალი კლდეს შუაზე მოჩანს შორიდგან თეთრად შეფეთქილი ქვითკირის კედელი, რომელსაც შუაზე აქვს დატნეული სარკმელი, ფანჯარა. ამ სარკმელის პირდაპირ არის აყვანილი მოხსენებული კიბე. ამ სარკმელში უნდა გაძვრეს კაცი, რომ მოხსენებულ კედელს შიგნივ მოექცეს, რომელშიდაც დაეტევა ოცამდე კაცი. თუმცა მას დედოფლის საყდარი ჰქვია, მაგრამ საყდრის ნიშანი კი ეერაფერი ნახეს მასში. ამ თვრის კედლის მარჯვენა მხრით ყოფილა პატარა აივანი, რომლის ნაშთად ახლაც მოჩანს ექვსი-შვიდ ადლიანი ხე, გადებული კლდის პირზედ. ამ ხის ქვეშ კლდის კედლებზე, აქა-იქ გადმოკიდებულია მომსხო ჯოხები, რომელიც გაჩერებულია კლდის ნაპრალებში და რომლების ქვეეთ ჩამოგდება მეტად ძნელია. ქვითკირში შესაფალი ყოფილა ძველად კიბით, რომლის კვალიც ახლაც ეტყობა ახალი კიბის გვერდზე. ახალი კიბე სიმაღლით თხუთმეტ საჟენზე მეტია. როგორც პეტრე ომიაძემ მიამბო, ეს კიბე უკეთებია მას რაღაც ჩვენების ძალით. აი რას ამბობს ეს მოხუცი: «მე ჩვენებით

ენახე ერთი შვიდ ტკაველანი რკინის კეტი, რომელსაც თავზე ჯვარი ჰქონდა. ამ კეტით ვიმუშავე ამ კლდეში ცალის ხელით, როდესაც ბევრ კაცს ორივე ხელით უძნელდება მისი აწევა. მე მეცხადებოდა ღვთისმშობელი, რომელთანაც მოუშორებლად იყვნენ ორი თეთრად შემოსილი ბავშვი, რომელთ საშუალებითაც მე ვიგებდი დროს კიბეზე მუშაობისას. როდესაც ვიწყებდი მუშაობას კიბეზე, ერთი ერთ მხარზე დამაჯდებოდა და მეორე მეორე მხარზე და მერე შეფრინდებოდნენ ზემოხსენებულ საყდარში. მათი შემწეობით და იმედით მე ისე ვმუშაობდი, როგორც სწორ მიწაზედ». ბევრს სხვა რამეს ლაპარაკობს ეს მოხუცი, რომლის ლაპარაკი მორწმუნე კაცის ლაპარაკს უფრო ჰგავს, ვინემ შეშლილისას. ის ამბობს: ჩვენებით ამ საყდარში დამარხული უნდა იყოს ვინმე ქალიო, რომელიც, როდესაც ეს კაცი შევიდოდა დანიშნულს ადგილს, ადგება და ეჩვენება ხალხსო. ამის გამო ხალხში გავრცელებული იყო ხმა, ვითომც იმ დედოფლის საყდარში უნდა იყოს თამარ მეფე დამარხული და სხვა ბევრი რამე ნიეთებიო. არც არავინ ფიქრობდა, თუ იმ საყდარში შესანიშნავი არაფერი გაჩნდებოდა, ან ძველი წიგნები, ან იარაღები და ან სხვა რამე, მაგრამ სულ ამაოდ. ხუთს ამ აგვისტოს თთვეში ზემოხსენებულ დედოფლის საყდრის კლდის ძირში შეიკრიბა მრავალი კაცი და ქალი. მათ მოჰყვა თან მაზრის უფროსის თანაშემწე, პოლიციის ბოქაულის თანაშემწე, სამსაჯულოს პრისტავი, პოლკოვნიკი კ—ეი, როდესაც სრულიად სარწმუნოდ მიიჩნდა პეტრე ომაძის სიტყვები და როგორც თვითონ სთქვა, ისიც ნახულობდა სხვა-და-სხვა ჩვენებას, თანახმად პეტრე ომაძის ჩვენებისა. ამ პოლკოვნიკის მეთოხებით შეიტყო და ყურადღება მიაქცია ამ საქმეს მთავრობამ და ხალხმა. მათთან მოვიდნენ ადგილობითი ექიმი, პეტერბურგიდგან გამოგზავნილი არხეოლოგი და სხვა ჩინოვნიკები და თავად-აზნაურნი. პირველად კიბის შესამოწმებლად შეგზავნეს ორი დახელოვნებული ეკკლესიების გუმბათების ოსტატნი გლ. მ. გ—ძე და ლ. ბ—ი, რომელნიც აჰყვნენ ამ კიბეს და შევიდნენ საყდარში სარკმელით, როდესაც კიბის მკეთებელი ამბობდა, რომ ჩემს მეტს არავის უბრძანებს ღვთის შშობელი ამ კიბეზე შესვლასო. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩამოვიდნენ უკანვე და სთქვეს, რომ იქ არაფერი არ არის, გარდა ნამგრეევ ეკკლესიის სახურავისა, რომელიც ხის ყოფილა და ქვებისა. ისინი დაჩხრიკა პოლიციის ბოქაულის თანაშემწემ ა. კ—იმ, მაგრამ არა აღმოუჩიდათ რა. მერე შევიდა თვითონ კიბის ოსტატი. იმას აჰყვა პოლკოვნიკი კ—ეი, მაგრამ შუა კიბიდგან დაბრუნდა, არ ვიცი, გადმოვარდნის შიშით, არ ვიცი იმის მიზეზით, რომ სარკმელთან უბრალო კიბეზე ასვლა ძნელი და საშიში იყო და ვერც სარკმელში გაეტეოდა. პეტრე ომიაძესთან შეგზავნეს ხელახლა გლ. ლ. ბ—ი. აიტანეს ნიჩაბი, თოხი და წერაქვი ბაწრებით, რომლის ატანაზედ ეხმარებოდათ ერთი 12 წლის გერი კიბის ოსტატისა. დაიწყეს შიგნით მუშაობა, მიწის და ქვის გადალაგება, მაგრამ სულ ტყუილად. არა აღმოჩდა რა. ვერ წარმოიდგენთ, მკითხველო, ჩვენს მაშინდელ განცვიფრებას. არ ვიცოდით, სად ვიყავით. რისთვის? მისთვის, რომ რაღაცას ველოდით და არ აღგვისრულდა, იმედი გვქონდა რაღაცის და გაგვიმტყუნდა. ვეღარაფერი ველარ ვსთქვით და ისე პირდაღებული და ენა გამშრალი დავბრუნდით უკან. ჩვენ იმას ვსწუხდით, რომ ამდენი ამბავი მთელმა ქვეყანამ გაიგო, „გზები მიიყვანეს კლდემდი და სულ ტყუილად. ვერ აგვიხსნია, თუ რისი ძალით გაკეთა, რის იმედით მუშაობდა ის კაცი იმ კლდეში და ან რანაირად მოიგონა იმ კიბის გეგმა, როდესაც მას არსად არ უნახავს მისი მსგავსი და არც რაიმე მოხელეობა სცოდნია! არამც თუ მარტო ის მუშაობდა იმ კიბეზე, არამედ მისი ცოლი და მის თორმეტი წლის გერი ისე უშიშრად ადიოდენ და ჩამოდიოდენ იმ კლდეზე კიბის მასალის ასატანათ, როგორც თვითონ ის ომიაძე, როდესაც ბევრს კაცს ამ კლდეზე ასვლა კი არა, მისი შეხედვისაც კი ეშინია. რის ძალით მოხდა ყოველივე ეს, ამის გამოცნობა მკითხველისთვის მიგვინდია.

დამსწრე მღვ. ბლატონ ე—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი ჰეტერბურგიდამ.

დღესასწაულობა ალექსანდრე ნეველისა.

სამეფო დღე, 30 აგვისტო ჩვეულებრივის დიდებულებით იდღესასწაულეს ჰეტერბურგში. თუმცა წინა დღებში წვიმდა და ცოდა, მაგრამ ორშაბათს დილით გამოიდარა და კიდეც დათბა. დილიდგან მთელი ჰეტერბურგი მორთეს დროშებით. სახლს ვერ ნახავდით, რომ დროშები და ძვირფასი ხალიჩები არ ყოფილიყო გადმოკიდებული ფანჯრებიდგან და აივნებიდგან. სასტუმრო სასახლის, ქალაქის თვითმმართველობის შენობის, კერძო სახლების და მაღაზიების ფანჯრებიდგან მოსჩანდა გამოქანდაკებული სხვები (бюсты) ხელმწიფე იმპერატორის და იმპერატრიცას. მდინარე ნევაზე ყველა ხოლმადები მორთული იყო დროშებით. დიდებული ზარის რეკა გაიმმა მთელს ქალაქში. ყველა ეკლესიაში სრულდებოდა წირვა; წირვის შემდეგ ყველგან გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი დიდის მთავრის ალექსანდრე ნეველის სახელობაზე. ყველა სასწაველებლების ეკლესიებში მოგროვილნი იყვნენ მოწაფენი წირვის მოსასმენად.

ალექსანდრე ნეველის ლავრაში დღესასწაულობა წინა დღითვე დაიწყო. 29 აგვისტოს 4 საათზე მაღალ ყოველად უსამღვდელოესობამ ლავრის წინამძღვარმა, მიტროპოლიტმა პალლადიმ სხვა ქორ-ეპისკოპოსებმა, არქიმანდრიტების და მონასტრის ყველა მღვდელ-მონაზონების თანამახურებით გადახდა დაუჯდომელი ნაშუადღეის 6 საათზე დარეკეს ციხეკრის. მწუხრი და ციხეკარი შეასრულა მიტროპოლიტმა პალლადიმე უმაღლესი თეოროსანი და შოსანი სამღვდელოების თანამამახურებით. თუმცა ამ დღეს წვიმა იყო, მაგრამ ლავრის დიდი ტაძარი წმ. სამებისა მთლად სავსე იყო მლოცველებით. სობოროში ღვთის-მსახურება გაგრძელდა, თითქმის, თერთმეტ საათამდის.

30 აგვისტოს ლავრის ზოგიერთ ეკლესიებში დილით ადრე სწირეს და მლოცველებიც ბევრი დაესწრო ტაძრებში. ნევის პროსპექტზე დილის რვა საათიდგან ჩამოწკრიბა ხალხი და ელოდა ლიტანიას, რომელიც ცხრა საათზე გამოემგზავრა მონასტერში ისაკიევის საკათედრო სობოროდგან. ამ სობოროში შეიკრიბა სატახტო ქალაქის სამღვდელოება, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო ლიტანიაში, და ყოველად სამღვდელო ნიკოლოზმა, ეპისკოპოსმა გლოვსკისამ დაიწყო პარაკლისის გადახდა. მღვდელებმა მიიღეს ხატები. სამღვდელოება გამოვიდა ტაძრიდამ. ლიტანიას წინ მიუძღოდენ ჯვრით და ბაირახებით. ყაზანის სობოროდამ გამოვიდა და შეუერთდა ამ ლიტანიას სობოროს სამღვდელოება. გზაზე ყველა ეკლესიებიდამ გამოდიოდა სამღვდელოება და უერთდებოდა ქალაქის ლიტანიას. ლიტანიას ურიცხვი ხალხი მოყვებოდა უკან.

ლავრის სამების ტაძარი მდიდრულად იყო მორთული. სობოროდამ ლავრის და მიტროპოლიტის სასახლის კარებამდე გაფენილი იყო წითელი მაუდი. ლავრის მგალობლები და მღვდელ-მონაზონები წყობ-წყობად დაწყობილნი გაემგზავრენ მიტროპოლიტის სასახლისაკენ მათი მეუფების შესაგებებლად. მათი მეუფება შემობრძანდა ლავრის ტაძარში. ტაძარში მათ მეუფებას ჯვრით მიეგებენენ არქიმანდრიტები, მიტროპოლიტი ემთხვია ჯვარს და შემდეგ იწყო შემოსვა. შემოსვის შემდეგ საკურთხეველიდამ გამოვიდნენ ყოველად სამღვდელონი: გერმანე, მარკელი, სერგი, ხორ-ეპისკოპოსი ნარვისა ნიკანდრი, 6 არქიმანდრიტი და მღვდელ-მონაზონები. ყველანი მიტროპოლიტთან ერთად მივიდნენ წმ. ალექსანდრე ნეველის ლუსკუმასთან. წმიდანის ნაწილების წინ გადიხადეს პარაკლისი. საკრებულო ტაძარი გაივსო სამოქალაქო და სამხედრო უწყების მოსამსახურე პირებით. მარჯვენა მხრით იდგნენ სახელმწიფო რჩევის წევრნი, მინისტრები, სასახლის და სამოქალაქო უმაღლესნი წარმომადგენელნი, მარცხნით იდგნენ სამხედრო უწყების ყველა უმაღლესნი პირნი.

ამასობაში ქალაქის ლიტანია მოუახლოვდა ლავრის ტაძარს. მის შესაგებებლად ლავრის ტაძრიდამაც გამოვიდა ლიტანია.

წინ მიქონდათ ჯვარი და ბაირახები, შემდეგ მიდიოდნენ ლავრის მგალობლები და მღვდელ-მონაზონები, მთავარ-დიაკონები საეკლესიურებით, მღვდელ-მონაზონები და არქიმანდრიტები ყველანი ოქროს შესამოსლებით იყვნენ შემოსილნი, მათ შემდეგ ყოველად სამღვდელონი და მერე მიტროპოლიტი პალლადი. მათ მეუფებას უკან მიჰყვებოდნენ არქიმანდრიტები, მანტიებით შემოსილნი. მეტად მშვენერი სანახავი იყო, როცა ეს ორი ლიტანია ერმანეთს შეუერთდა. მიტროპოლიტმა უკმია სასწაულთ-მოქმედ

ხატებს, შემდეგ მიიღო ისინი და აკურთხა ხალხი ამ ხატებით. შემდეგ მაცხოვრის და ღვთის-მშობლის ხატები შეასვენეს ტაძარში. ქალაქის ლიტანია შეეიდა ტაძარში, ხოლო ლავრის სამღვდელოება დარჩა ლავრის შესავალ კარებთან მათი იმპერატორებითი სახლეულობის მისაგებებლად.

11 საათზე მობრძანდნენ მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და დიდი მთავრინები ელისაბედ მავრიკიევნა და მილიცა ნიკოლოზის ასული, მათი უმაღლესობანი გერცოგები გეორგი გეორგის ძე და მიხაილ გეორგის ძე მეკლენბურგ-ატრელიცელები.

დიდი მთავარი და მთავრინები გადმოვიდნენ ეტლებიდგან, მივიდნენ მონასტრის კარებთან, აქ ემთხვევენ ჯვარს, რომელიც ეკავა ხელში მიტროპოლიტს, შემდეგ ლავრის მთელი შოსანი სამღვდელოების წიმძღოლობით მათი უმაღლესობანი შებრძანდნენ სობორაში. მიტროპოლიტი მაშინვე შეუდგა წირვას. მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი იდგნენ მარჯვენით. წირვაზე გალობდა ორი გუნდი მგალობელთა.

როცა წირვა გათავდა, ქალაქის სამღვდელოების ლიტანია დაბრუნდა უკანვე ისაკიევის ტაძარში, ხოლო მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი წაბრძანდნენ მიტროპოლიტთან საუზმეზე და საუზმის შემდეგ წაბრძანდნენ ლავრიდამ. 4 საათზე მათ მეუფებას სადილი ჰქონდა გამართული უმაღლესი სამღვდელოებისათვის, მაგრამ სამღვდელოების გარდა ამ სადილზე დაესწრენ მინისტრები და სინოდის ობერ-პროკურორი და სხვა წარჩინებულნი პირნი, და აგრეთვე პეტერბურგის სასულიერო კონსისტორიის წევრნი და სასულიერო აკადემიის პროფესორები.

სადილზე მათმა მეუფებამ პირველად ადღეგრძელა მათი იმპერატორებითი დიდებულებანი და მთელი მათი სახლეულობა. ‘ამემდეგ ობერ-პროკურორმა ადღეგრძელა მათი მეუფება მიტროპოლიტი პალლადი. მათმა მეუფებამ ადღეგრძელა ობერ-პროკურორი კ. პ. პობედონოსცევი. შემდეგ ადღეგრძელეს მინისტრები სახალხო განათლებისა, სამხედრო და სხვა დიდკაცობა დაბოლოს ყველა სტუმრები. სადილობის დროს გალობდენ ლავრის მგალობლები სხვა-და-სხვა სძლის პირებს. ბოლოს ყველანი გამოეთხოვენ მასპინძელს და წავიდ-წამოვიდნენ. მიტროპოლიტის სასახლეს იმდენი ხალხი ეხვია გარეთ, რომ გამოსვლა გასაჭირი იყო. დაბალი ხალხი მაინც მეტი იყო მოსული, რადგან იოანნე კრონშტანდელი ეგულებოდათ აქ. ძლიეს ეტლით გამოაპარეს მ. იოანნე ხალხს. სწორეთ საშიშო ყოფილა მ. იოანნესათვის გამოჩენა! ისე ნაირად ეხვევა მას ხალხი, რომ ყოველად შეუძლებელია ეს ურდო ხალხი შეაჩეროს კაცმა. ეს მეორეთ ენახე იოანე და უნდა მართალი გითხრათ, რომ მის ერთჯერ მნახველს მისი სახე და საქციელი ისე შთაებეჭდება გულში, რომ ნიადაგ თვალწინ გიდგას მისი სახე. მ. იოანნე ერთნაირად ეპყრობა ყველას, დიდს და პატარას, სწავლულს და უსწავლელს. მ. იოანნე წირვის დაწყებამდისინ შემოვიდა ტაძარში და შემდეგ ლოცვისა პირველად მე მომესალმა.

— მადლობა ღმერთს, ეს მეორეთ მაქვს შემთხვევა თქვენი ნახვისა, ვუთხარით ჩვენ მ. იოანეს. პირველად მე გნახეთ თქვენ 1887 წ. 7 მაისს კრონშტატის ეკლესიაში და ეხლა გიხილეთ ამ ლავრაში. თქვენი სახელი და დიდება ჩვენს საქართველოშიაც ძლიერ არის გავრცელებული.

— მადლობა და დიდება უფალსა, თქვენ საქართველოდამ ხართ, მკითხა მან. რუსი ხართ თუ სხვა ტომის და რამ მოგიყვანათ ამ სობოროშიდ?

— მე ქართველი გახლავართ ტომით. რკინის გზის წყალობით მიმოსვლა ეხლა გაადვილებულია. აგერ წინათ ხმა გავრცელდა, რომ ჩვენ კუთხეში მობრძანებას აპირობდით და მრავალი მოუთმენელად გელოდენ, მოვახსენეთ ჩვენ. ნეტავი მართლა მობრძანდებოდეთ.

— დიდათ სასიამოვნო იყო ჩემთვის თქვენი კუთხის ნახვა, მაგრამ დრო არა მაქვს თავისუფალი, ბრძანა მან.

დიაღ, გასაოცარია მ. იოანნე სერგიევის გაელვნა არა მარტო დაბალ ხალხზედ, არამედ თითქმის მაღალ წოდების და თვით სასულიერო წოდებაზედაც. მ. იოანე სერგიევი ჩვენთან იდგა საკურთხეველში. ორი-სამი წამი არ ქონებია შესვენება, რომ არავინ მოსულიყოს და ლოცვა-კურთხევა არ მიეღოს მისგან. ერთნაირად მოდიოდენ: ერი, მღვდელი და ყველანი და დიდის მოწიწებით ეამბორებოდენ ზოგნი ხელზედ და ზოგი მუხლზედაც, თუმცა ამისთანა ამბორება არ მოსწონდა მ. იოანეს და უარს ყოფდა ხოლმე. სხვა დიდებულ სტუმართა შორის მ. იოანეც იყო მიტროპოლიტთან მიპატიჟებული. ყოველს ადგილას გაგაკვირვებს მისი მშვიდი, წყნარი და რაღაცა მიმ-

ზიდველი საქციელი და მიხვრა-მოხვრა. სადილობის დროს დიდი ხალხი შემოხვეოდა მიტროპოლიტის სახლს, პოლიცია ძლივს აძლევდა გზას სტუმართა გამოსასვლელად. ერთმა ვიღაცამ სთქვა, იოანენ იქით გვერდით მიდისო. ხალხმა მიაშურა იქით, მაგრამ მოტყუება. ამ დროს იოანე ეპირებოდა წინა კარებით გამოსვლას ეტლში ჩასაჯდომად, მაგრამ ხალხი მრავალი იყო. ძლივს ძლიობით ერთი მხრით, სადაც ცოტა ხალხი იყო, გაიყვანეს და შეასწრო ეტლში და გაქანეს. ეს შენიშნა ხალხმა და გამოედევნა უკან ეტლს, მაგრამ ველარ დაეწია. ერთ ადგილს გზაში ეტლში მჯდომარე შენიშნა ერთმა უბრალო დედაკაცმა იოანე და ისენაირად გამოუდგა ეტლს დედაკაცი, რომ კინალამ გოგრებ ქვეშ არ მოჰყვა...

ყველა ამისთანა სურათების მნახველი მრავალ კითხვას აძლევ შენს თავს, მაგრამ ბევრი კითხვა განუმარტებელი რჩება. მხოლოდ ერთი უნდა ესთქვათ: სრული დარწმუნებული ვართ, რომ მ. იოანე სერგიეის ლოცვით სარწმუნოებისამებრ მოხოვნელნი იკურნებიან; სრული დარწმუნებული ვართ, რომ მ. იოანე სერგიეი მართლადაც შესანიშნავი წმიდა კაცია ეხლანდელ დროში, მაგრამ არც ხალხს და განსაკუთრებით არც ბეჭვლითი სიტყვას არ ეკადრება ისეთი გადამეტნობა, რასაც ისინი ჩადიან მ. იოანე სერგიეის შესახებ და რომელიც თვითონ მასაც არ მოსწონს.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

წერილი მოსკოვიდან.

მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის მოსკოვის ახალი მიტროპოლიტის სერგის მობრძანება მოსკოვში და მისი მეუფების ზარგელი წირვა მიძინების საკრებულო ტაძარში.

სამს სექტემბერს, რკინის გზით მობრძანდა მოსკოვში მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობა სერგი, ახალი მიტროპოლიტი მოსკოვისა. მოსკოვი ღირსეულად მიეგება და მიიღო მათი მეუფება.

5 ენკენისთვეს, მათმა მაღალ ყოველად უსამღვდელოესობამ მიტროპოლიტმა სერგიმ პირველად სწირა მიძინების საკრებულო ტაძარში. ამ ტაძარში დილის 9 საათზე შეიმოსა 16 არქიმანდრიტი, მრავალი წინამძღვრები და ბლაღოჩინები. ათ საათზე სობორორში მოასვენეს ივერიის ღვთის-მშობლის სახწაულთ-მომქმედი ხატი და შემდეგ მიძინების და სხვა ტაძრებიდან მოიტანეს დროშები და წმიდა ხატები, რომელთაც თან მოჰყვა მრავალი სამღვდელოება. ათი საათის თორმეტი წამი იქნებოდა, როცა ტაძარში შეიქნა ზარის რეკა და მობრძანდა მათი მეუფება მიტროპოლიტი. მათ მეუფებას მიეგება ადგილობითი სამღვდელოება ჯვრით; მიტროპოლიტი ემთხვია ხატს, შეიმოსა მანტიით და დადგა საკურთხეველში. ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა ა. თ. ნეკრასოვმა მიმართა მათ მეუფებას სიტყვით. როცა მ. ნეკრასოვმა გათავა სიტყვა, მათმა მეუფებამ მიტროპოლიტმა შემდეგი უპასუხა:

«ისმინოს უფალმა ღმერთმა ის სიტყვები, რომელნიც მე თქვენ აქ მითხარით და დაამყაროს მშვიდობა და სიყვარული ჩემსა და ჩემს სამწყსოის შორის, რომელიც მომანიჭა მე ღმერთმა და რომელიც კურთხეულია ღვთისაგან.

კავშირი მშვიდობისა და მადლი ღვთისა იყვეს ჩვენ შორის მუდამ, ვიდრემდის მე ვიქნები ცოცხალი და გაკურთხოს თქვენ უფალმა ღმერთმა».

შემდეგ მათმა მეუფებამ გადასახა ჯვარი მლოცველებს და ბოლოს ემთხვია წმიდა ხატებს, ამ დროს მგალობელთა გუნდი გალობდა «ღირსარს». შემდეგ მათი მეუფება შეიმოსა და გაუძღვა წინ ლიტანიას კრემლში. წ-ნ მიჰქონდათ 70 დროშა, შემდეგ მიდიოდა სამასამდე ძვირფასი ოქროს შესამოსლებით შემოსილნი სამღვდელოება, გუნდი მკალობელთა, 16 არქიმანდრიტი და ბოლოს მიტროპოლიტი სერგი, რომელიც ჯვარს სახავდა ხალხს. ათ საათზე ლიტანია მივიდა მიძინების ტაძარში. ტაძარში შესვლის დროს მიტროპოლიტს მიეგება სიტყვით პროტოპრესვიტერი ნ. ვ. ბლაღოროზუმოვი და შემდეგ სიტყვის გათავებისა მიართვა მათ მეუფებას წმ. მიტროპოლიტის პეტრეს ხატი, რომელსაც ემთხვია მათი მეუფება და ბრძანა: „გმადლობთ თქვენ ამ წმ. ძღვენისათვის, რომელსაც ვიღებ თქვენგან დიდის სიყვარულობით. ის, რაცა სთქვეთ თქვენ ამ ტაძარში ჩემ მიერ მღვდელ-მთავრობის მადლის მიღების შესახებ, უწყოდენ ესე მამენელთ და აქ მყოფთა. მრწამს და ვასოებ, რომ მადლმა მღვდელ მთავრობისამ, რომელიც მფარეიდა მე მრავალსა წელსა, დღეს მომავ-

ლინა აქ. ეს ქალაქი ჩემთვის უცხო არ არის, ის არის ჩემი, რადგან საღმრთო-საეკლესიო აღზრდა და განათლება მე მივიღე აქ აქაური მწყემსთ-მთავრების ხელმძღვანელობის ქვეშე.

კურთხეულ იყვეს ჩემი აქ შემოსვლა; ვსთხოვ ყველას, ვინც მე მხედავს და ყურს მიგდებს, ეფედრონ ღმერთს ჩემთვის; და გადმოაელინოს ჩემზე ღმერთმა ძალა, რათა ვემსახურო მასს, და ვიქმნე ყველასათვის სასარგებლო, აქ, რასაკვირველია, სახეში მაქვს უმეტესად სარგებლობა სულიერი.

მადლი ღვთისა და იყვეს თქვენთანა».

წირვის გათავების შემდეგ მათმა მეუფებამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ყველა მსმენელებზე. შემდეგ მათმა მეუფებამ გადასცა ლოცვა-კურთხევა ყველა მლოცველებს და მეორე საათის ნახევარზე წაბრძანდა სამღვდელ-მთავრო სასახლეში, სადაც მათი მეუფებისათვის მომზადებული იყო საუზმე; საუზმეზე დესწრენ ყოველად სამღვდელონი და უმაღლესი სამღვდელოება.

დეკ. დ. ლამბაშიძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

I

მოწყალეო ხელმწიფეო,

ბ. რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთში დაბეჭდილი ყოფილა ცნობა, ვითომც «დროება» აგროვებდა შეწირულებას რუსთველისთვის ძეგლის ასაგებათ და ვითომც ამ საქმისათვის ორას თუმნამდე მოგროვებულიყოს; თან კითხულობთ, ეს ორასი თუმანი, ან ამ ფულის გადახდის მოვალეობა ხომ არ მიკისრია მე, როგორც უკანასკნელს რედაქტორს «დროებისას». საჭიროდ ვრაცხ შეგატყობინოთ, რომ როცა განსვენებულმა სერგეი მესხმა მე «დროება» გადმომცა, არც ერთი გროში არ მიმიღია რუსთველის ძეგლის ფული, არც მოვალეობა უკისრებია და თითქმის ნამდვილად შემიძლიან დაგარწმუნოთ, რომ ამ საგნისათვის „დროებაში" ხელის-მოწერა არა ყოფილა გამართული არა თუ ჩემ დროს, რაც დაბეშმარიტებით ვიცი, არამედ არა დროს ჩემს წინადაც. ეთხოვ იმ გაზეთებს, რომელთაც თქვენი ცნობა გადაბეჭდეს, ამ წერილის შინაარსიც გადაბეჭდონ. *)

თქვენი პატივისმცემელი ი. მაჩაბელი.

II

ბ. რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთის მეთოთხმეტე ნომერში დაბეჭდილმა შენიშვნამ შესახებ სერგეი მესხის დროინდელ «დროებაში» რედაქციისაგან ფულის მოგროვებისა შოთთა რუსთველის ძეგლისათვის დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში და ბევრს არცა სჯერათ, რომ რაიმე ამ გვარი ხელის-მოწერა ყოფილიყოს გამართული ჩვენს პერიოდულს მწერლობაში. საქმის გამოსარკვევად მოვალედ ვრაცხავ ჩემს თავს მოგახსენოთ, რომ ზემორე ხსენებულს შენიშვნაში შეცდომა არის, მხოლოდ ხელის-მოწერის საგნის დასახელებასა და ფულის რაოდენობის აღნიშნვაში. მე დაბეჯითებით ვიცი, როგორც გაზ. «დროების» მაშინდელ თანამშრომელმა, რომ 1880—1883 წლების განმავლობაში (რომელს მათგან-ში სახელდობრ ეს კი არ მახსოვს) ხსენებულს გაზეთში ხელის-მოწერით მოიკრიბა

---

*) ნათქვამია: „სადაც არის მძორები, მსწრაფელ ჩნდებიან ყორნები". ბევრი ფულები შეჭმული სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო ანუ სასახელო მიზნით მობოჭილი. ამისთანა ფულების ანგარიშის გაგება და ისიც საქველ-მოქმედო მიზნით მობოჭილისა სასურველია ყველასათვის და დროგამოშვებითი გამოცემანიც ხელს უნდა უწყობდენ ამ შემთხვევაში საზოგადოებას. სწორეთ ამისთვის მივიცით ადგილი ბ. ი. ჭყონიას მცირე შენიშვნას ჩვენს გაზეთში, თუმცა ჩვენც სიჭვდ მიგვაჩნდა ეს ამბავი. დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ შეცდომის გასწორებას შესახებ ფულის შეკრებისა, ვითომც, შოთა რუსთველის ძეგლის დასადგმელად. ჩვენ ბ. ი. ჭ—ს ეხლანდელი განცხადებაც საეჭვოდ მიგვაჩნია. ამისთანა უსარგებლო ეჭვი და მითქმა-მოთქმა რომ არ მოხდეს, საჭიროა გამოცხადებულ იქმნეს, თუ სად არის დაცული, ან გის ამბარია ეს შეკრებილი ფულები. არ კმარა მარტო შეწირული ფულის რაოდენობის დასახელება...

რედაქტორი.

ექვსასიოდე—მანეთი განსვენებულის ისტორიკოსის მ. ბრახსეს პრემიისათვის. და როცა ს. მეახმა გადასცა «დროება» პატივცემულს თ. ი. მაჩაბელს, მაშინ ამ ფულების დანიშნულებისამებრ მოხმარება დაეევალა ამ უკანასკნელს, რომელიც, იმედია, დაამოწმებს ჩემგან თქმულის სიმართლეს.

ილია ჭყონია.

ჰედაგოგიკის ისტორიიდგან

(გაგრძელება *)

ბავშვების აღზრდა რომში.

შინაური წერთნილება (дисциплина) რომში სასტიკი იყო. ბავშვების თვალწინ არ შეიძლებოდა რაიმე ცუდის ან თქმა და ან ქმნა. კატონმა, როდესაც ის ცენზორად იყო, გამოაგდო სენატიდგან მანლი, იმიტომ რომ ეს დღისით, თავისი ასულის თვალთ წინ, კოცნიდა ცოლსა. მამები შვილებთან და ბიძები ძმის წულებთან არასოდეს არ იბანდნენ ტანს იმ მიზნით, რომ მათ არ შეურაცხ ეყოთ ბავშვების გულში გრძნობა სირცხვილ-ნამუსიანობისა, რომელს მოკლებული ბავშვი ზნეობით დაცემული გამოვა. **არც ქალები და არც ჭაბუკნი ოც-და-ათის წლამდის დვინოს და სხვა დასათრობ სასმელებს არ სვამდნენ.** მამა ოჯახს გარეშე არ სჭამდა საუმელს; მას სურდა ერთად შვილებთან ეჭამა და არ მიეცა მათთვის ნაყროვანების ნება. თუ სადმე ლხინში წავიდოდნენ ძმობლები, შვილებიც თან მიჰყავდათ და ერთად მათთან შინ ბრუნდებოდნენ. ახალთაობა ხედავდა მოზრდილი თაობის სირცხვილ-ნამუსიანობას და თვით ეჩვეოდა მასვე. სირცხვილ-ნამუსიანობას რომში დიდათ აფასებდნენ. კატონი ამბობს: «მე უფრო მიყვარს ისინი, ვინც სირცხვილით წითლდებიან, ვინემ ფითრდებიან, ვინაიდგან სიწითლე სირცხვილიანობისა არის ყვავილი სათნოებისა». ოჯახშივე ენერგებოდა ბავშვს სამშობლოს სიყვარული. სახლში ბავშვებს უამბობდნენ მოზრდილნი მოთხრობებს შესახებ წინაპრების სხვა-და-სხვა საქმეებისა, განსაკუთრებით შესახებ მათის ომებისა მტრებთან. ლხინის დროს თითოეული მოზრდილი პირი რიგრიგობით იტყოდა რაიმე ამბავს წარსული ცხოვრებიდგან, განსაკუთრებით ისეთს ამბავს, რომელიც წინაპართ მამულის შეილობას შეეხებოდა,—თვით ყმაწვილებიც ხშირად მღეროდნენ საგალობლებს წინაპართ სადიდებლად. ყოველივე ეს ერთად ახალთაობის გულში წარმოშობდა სურვილს მიებაძა სახელოვანი წინაპრების კეთილშობილურს ცხოვრებისთვის და ცხოვრების მოედანზედ გამოსვლის შემდეგ, ეს წმიდა სურვილი საქმედ ექცია.

როცა ბავშვი გაიზდიდა ყრმობის (toga praetexta), იმას გაკრეკდნენ გრძელს თმას, რომელსაც აქამდის ატარებდა და აცმევდნენ სავაჟ-კაცო მოსასხამს (toga virilis). ამის შემდეგ ის დაიარებოდა და იქცეოდა ვაჟ-კაცთა და მოხუცებულთა შორის. ის ამ დროს, სანამ დავაჟკაცდებოდა, ეჩვეოდა სიდინჯეს, სიწყნარეს, ზომიერობას, კეთილ-გონიერებას მეურნეობაში, თავდაჭერილობას და ზნეობის სიწმინდეს,—ასეთი თვისებებით ის მოიპოვებდა საზოგადოებაში სახელს პატიოსანი მოქალაქისას; წინაალმდეგს შემთხვევაში ის ყველას ძულდა, როგორც უზნეო, უზრდელი პირი. მორჩილება ჭაბუკს მოვალეობად ედო. ვინც მორჩილებას შეეჩვევა ბავშვობის დროს—ამბობდნენ რომაელნი—მას შემდეგში შეუძლია სხვის მბრძანებელი იყოს. ამიტომ იქ ჭაბუკი სცხოვრებდა ბანაკში და სხვა-და-სხვა მოვალეობას ასრულებდა. ის გარდა ამისა დაიარებოდა „ფორუმზედ"—მოედანზედ, სადაც მოქალაქეები სჯიდნენ შესახებ საზოგადო საქმეებისა; აქ ის ეცნობებოდა ამ საქმეებსა, ითვისებდა მრავალგვარს სასარგებლო აზრებს, იძენდა გამოცდილებას, ანვითარებდა ნიჭს მჭევრ-მეტყველებისას, აზროვნებისას, ეცნობებოდა კეთილ-გონიერს სითამამეს და თავ-დაჭერილს გამბედაობას. ყოველივე ამით ის ემზადებოდა სამშობლოს სამსახურისთვის.

უმთავრეს ყურადღებას სწავლების დროს აქცევდნენ ბავშვის მიერ წერა-კითხვის შესწავლას. შემდეგ წერა-კითხვის სწავლისა ბავშვები ხელს მიყოფდნენ პოეტების და სხვა მწერლების ნაწარმოებთა კითხვასა და განმარტება-თარგმანებასა. რომში სცდილობდნენ ბავშვი ჯანმრთელი გამოსულიყო. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად მარტო გიმნასტიკურს ვარჯი-

)* იხ. «მწყემსი» № 15—16, 1893 წ.

შობებს კი არ სთელიდნენ საკმოდ. რომში ქალებმა არ იცოდნენ არაეითარი გიმნასტიკური ვარჯიშობანი, მაგრამ საზოგადოდ ჯან-მრთელები იყვნენ. ქალები იქ ცეკვას არაფრად ეწყობოდნენ და მას ქალის შესაფერს გასართობად არ თელიდნენ. ვაჟები ზებირად სწაელობდნენ სხვა-და-სხვა სასიმღერო ლექსებს და—ისეთს სიმღერებს, რომელნიც კაცს გუნებას უხალისებენ.

სკოლები რომში გაჩნდნენ მეხუთე საუკუნეში ქრისტეს წინ. სკოლაში სწაელის მისაღებად დაიარებოდნენ როგორც ვაჟები, ისე ქალები. სკოლას იქ სახელად ერქვა: Ludus (ლუდუს) ე. ი. გართობა, თამაშობა, თვით ეს სახელწოდება უჩვენებს, რომ სკოლას რომში პირველ ხანად არ ჰქონია დინჯური ხასიათი.

მაგრამ იქ სკოლების სიმრავლეს დიდს ყურადღებას არ აქცევდნენ; რომაელნი ოჯახში აძლევდნენ შვილებს ჯეროვანს განათლებას.

ასეთი იყო საზოგადოდ რომაული სწაელებაღზრდის ხასიათი 148 წლამდის, როდესაც რომაელებმა დაიმორჩილეს საბერძნეთი. ამ წლიდგან რომში გავრცელდა ბერძნების ზედ-გავლენა, რომელმაც ძირეულად შესცვალა საზოგადოდ მთელი ცხოვრება რომაელთა და, კერძოდ, რომაული აღზრდის ხასიათი. ეს დრო იყო დრო მრეწველობის (промышленность) და სამეცნიერო მოღვაწეობის ფრიადის განვითარებისა. კაცობრიობის გონება მაშინ ეძიებდა მხოლოდ მას, რაც სასარგებლო იყო ცხოვრებისთვის; იმ დროს ძლიერ განვითარდა: მათემატიკა, მეხანიკა, ფიზიკა და საექიმო სწაელა. გონებამ კაცობრიობისამ უარჰყო ყოველივე ის, რაც თავის თავად დამოუკიდებლად მაღალი და მშვენიერია და გაალმერთა დედა-მიწა და ხორციელი სურვილ-ლტოლვილებანი. ჭკუა-გონება ეძიებდა მხოლოდ ფუფუნებას, ნაყოფიერებას, გული დაიხშო მაღალი ციური გრძნობებისთვის და მთელი არსება კაცისა შეიპყრო ჭამასმის სიყვარულმა. მეცნიერება—ხელოვნებანი, ეთარცა მონები, მაშინ მხოლოდ მრეწველობას, ფუფუნებას და სხვა-და-სხვა გართობებს ემსახურებოდნენ. ამ ხანას ისტორია უწოდებს «ხანად ალექსანდრიულის განათლებისა». ერთად ერთი კაი მხარეა ამ ხანისა რეალურ მეცნიერებათა განვითარება. მაგრამ ეს ხანა ისტორიაში ცნობილია აშასთანავე ხანად საშინელი ზნეობითი ხრწნილებისა და გონების ძალთა ფრთა შეკვეცისა.

ბერძნული ენის და ლიტერატურის შესწავლა რომში მოდად გადიქცა; ბერძნულს ენაზედ ლაპარაკი განათლების ნიშნად ითვლებოდა. ლუკრეციუს ემილი პაველმ პირველმა მიუსაჯა ბერძნულს კულტურას მსოფლიო მნიშვნელობა. ის ერთად სამშობლო რომაულს ენასთან ასწავლიდა შვილებს ბერძნულს ლიტერატურას, მითოლოგიას, რეტორიკას და ფილოსოფიას. ბერძნული ენის შესწავლას უფრო ეტანებოდა უმაღლესი წოდება, რომელიც გულში უნერგდა შვილებს ამ ენის სიყვარულსა. ბერძნები ათასობით და ათიათასობით მოდიოდნენ რომში და იქ იჭერდნენ ადგილს მასწავლებლისას, აღმზრდელისას, მდივნისას, მსახურისას. საზოგადო ფეხის ხმას ახალთაობაც აჰყვა: მას უფრო ეხერხებოდა, უფრო ესიამოვნებოდა, ექებებოდა ბერძნულს ენაზედ ლაპარაკი, ვინემ დედა-ენაზედ. რომაულს ენას ფასი დაეკარგა და ძალა-დაუტანებლად თავის თავად უპირველესი ადგილი დაუთმო ბერძნულს ენას.

მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ რომაელნი დროებით დაემორჩილენ ბერძნული კულტურის ზედგავლენას.

იდ. ფერაძე.

მიგვსრა-მოგვსრა.

(უძღვნი ჩემს მეგობარს)

მეგობარო! ვის რა ვავნეთ,
ზოგ-ზოგი რომ დაგვემდურა!
ნუ თუ მისთვის, სიმართლე რომ
ვსთქვით და კელავაც გვითქვამს, თუ რა?!
ზეცა მოწმობს, სიმართლისთვის
რომ გული გვაქვს ანაჭგერი,
ჩვენც შვილი ვართ საქართველოს,
ხომ არა ვართ ამა გერი?!
ჩვენს მიზანს ჩვენ ნუ გადუხვევთ,
ცრუსა ცრუი დაუძახოთ,
თავ მომწონეს, ტრაბახს მათი
ხასიათი დაუსახოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაყვანი ესცეთ ქვეყნისათვის
თავ-დადებით მუდამ გუშაგს,
თვით ზეცათგან მოვლინებულს
მომმეთათვის ერთგულ მუშაკს.

თუ იკი.როს წინ წაძღოლა,
ჩვენც მივსდიოთ უკან, კვალში,
ტანჯულთათვის ტანჯულს, მომხრეთ
მოვეჩვენოთ მუდამ თვალში.

ხომ ხედავ რომ ჩვენი ბედის
ჩარხი წადმა არ ტრიალებს!
უბედობა სასაშიშრო
თვალებს რისხვით გვიყურიალებს?

ამ დროს მუნჯიც მოვალეა,
მოკლე ენით ილუღლუღოს,
და არა თუ ენოვანმა
იმრუდოს და იილუღოს!

ამ გოლვის დროს, როდესაც მზე
ჩინჩხალს ჰყრის და ცეცხლსა კვესავს,
თვალებში არ მივაფურთხოთ,
ვინც სიმრუდით თესლსა სთესავს?!

არა, თუ რომ ღონე შეგვწევს,
ან ენას აქვს მიხრა-მოხრა,
ნუ დავზოგავთ, თუ ვინმემ ჩვენც
არ გვზოგა და მიგვხრა-მოგვხრა.

რ. საჯაოხელი

მოსკოვის მიტროპოლიტი სერგი.

როგორც მკითხველებმა უწყიან, მოსკოვის მიტროპოლიტი ლეონტი თერთმეტი თვის მსახურების შემდეგ მოსკოვის სამიტროპოლიტოში, გარდაიცვალა. მის ადგილზედ მიტროპოლიტად დანიშნა მთავარ-ეპისკოპოსი ხერსონისა სერგი.

მისი მალალ ყოველად უსამღვდელოესობა, მიტროპოლიტი სერგი, გვარად ნიკოლოზ ივანეს ძე ლიაპიდევსკი, დაიბადა 8 მაისს 1820 წ. ქ. ტულაში. მისი მამა დეკანოზი იყო. 1844 წ. დაამთავრა აკადემია მაგისტრის ხარისხით. იგი აკადემიაშივე დასტოვეს ჯერ ბაკალავრად და შემდეგ (1847 წელს) პროფესორად საღვთის-მეტყველო კათედრაზედ. სწავლის გათავებისას ნ. ივ. ლიპიადევსკი მღვდელ-მონაზვნად აღიკვეცა 24 ივნისს 1844 წ. ახალგაზდა ბერ-ბაკალავრი მალე დანიშნეს (1848 წ.) სასულიერო აკადემიის ინსპექტორად და არქიმანდრიტობა უბოძეს. 1857 წ. დაინიშნა რექტორად ტულის სემინარიისა. 1859 წ. 3 დეკემბერს დანიშნულ იქნა კურსკისა და ბელოგოროდის ეპისკოპოსად.

მისი მეუფება 1892 წ. დანიშნულ იქმნა ხერსონისა და ოდესის მთავარ-ეპისკოპოსად.

ბევრი შესანიშნავი საქმეები გაუკეთებია მათ მეუფებას სხვა-და-სხვა ეპარქიებში მსახურების დროს. ღღეს მათი მეუფება სამოც-და ცამეტი წლის ბრძანდება, მაგრამ მხნეთ არის და მოსკოვის სამღვდელოება ბევრს სიკეთეს მოელის მათი მეუფებისაგან.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ ვნახეთ ამას წინეთ რკინის ჯვარი ეკლესიის გუმბათზე დასადგმელი, სოფლის კურსევის მცხოვრების ვასილ ნიკოლოზის ძის იმამნიძისაგან გაკეთებული. ჯვარი სწორედ კარგად არის გაკეთებული და ბევრნიც ყიდულობენ თურმე ეკლესიებისათვის. მსურველთ შეუძლიათ ეს ჯვარი მოიპოვონ ქ. ქუთაისში სიმონ რუხაძის რკინის მაღაზიაში ზომიერ ფასად.

***

13 ამა სექტემბრის რიცხვს, სოფ. საყულიას გარდაიცვალა ხოლერის მსგავსი ავადმყოფობით ადგილობრივი მღვდელი მ. ზაქარია სვანაძე. განსვენებულს მოძღვარს დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა მისდამი რწმუნებული სამწყსოის წინაშე დამსახურებული და ასე უდროოდ მისმა გარდაცვალებამ ყველა მათგანი საგრძნობლად დააღონა. თვისი სამრეველოისაგან სიყვარულის მოპოებასთან ერთად, მამა ზაქარიას არა მცირედი ღვაწლი მიუძღვის საყულიის ეკკლესიის გამშვენებაში. მისი თაოსნობით და შეგონებით სამაგალითოდ არის ამ სოფლის ტაძარი ყოველგვარი ეკკლესიური სამკაულით მოწყობილი.

***

ჩვენ მივიღეთ გაზეთში გამოსაცხადებლად წერილები შემდეგ პირთაგან:

1) მღვდლის მიხეილ ჯაფარიძისაგან:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ჩემდამო რწმუნებულის უსახელოს მთავარ-ანგელოსის ეკკლ. მრეველთაგანს, სოფელ ბალეხთას მცხოვრებს აზ. გიგო გ. წერეთელს, რომელმაც შემოსწირა ზემო აღნიშნულ ეკკლესიას სამ ღეროვანი ტრაპეზზე დასადგმელი შანდალი, ღირებული 12 მანეთად».

2) მასწავლებლის ივანე ბობოხიძისაგან:

„მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ს. მარტვილის მცხოვრებს აზ. პაველე მასხულიას, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ მარტვილის ორ კლ. საეკკლესიო-სამრეველო სასწავლებელს საბაღო ხეების სხვა-და სხვა ნერგები, ღირ. 25 მ. და ამავე სასწავლებლის მზრუნველს აზ. გრ. ჩაჩიბაიას, რომელმაც შემოსწირა ამ სასწავლებელს ფულათ 15 მ.

3) ნაფიჩხოეთის სოფლის საეკკლესიო სკოლის მასწავლებლის მღვ. დიმიტრი ბერულავასაგან:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენი პატივცემული ჟურნალის «მწყემსის» საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ჩემი და ჩემი მრეველის მხრით ზუგდიდის მაზრის აკციზის ზედამხედველს აზ. ფარნაოზ ნიკოლოზის ძე ფიჩხაიას, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს საეკკლესიო-სამრეველო სკოლას საკლასო დაფა, ღირებული 10 მანეთად».

4) ჭალასთავის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვ. დავით სალაძისაგან:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ «მწყემსში» ამ ჩემს მცირე შენიშვნას: რწმუნებულს ჩემდამო ჭალისთავის ღვთის-მშობლის ეკკლესიას ჩემმა მრეველთაგანმა აზ. მამუჩარ დიმიტრის ძე ტყავაძემ მოჭედა თავის ხარჯით სახარება და შემოსა ერთის მხრით ტრაპეზი, ელისაბედ აშოთიას ასულმა შემოსწირა ტრაპეზის წინ დასაფენი ღირებული 3 მ., მარიამ ქარცივაძის ასულმა შემოსწირა 1 მაცხოვრის ხატი, ღირებული 3 მ., ვასასი ხუჯაძის ასულმა შემოსწირა თანაარსის შანდალი, ღირებული 2 მანეთად და 14 შაურად; ამავე ეკკლესიის მნათემ გიორგი ხამაშურიძემ შემოსწირა ადგილი ამავე ეკკლსიის მახლობლათ, ღირებული 20 მანეთად. ყველა ამ პირთ დიდს მადლობას ვსწირავთ, როგორც ამ ეკკლესიის კრებულნი, აგრეთვე მრეველიც.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: რა მდგომარეობაშია სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოს საეკლესიოს სასულ. სასწავლებლებში?—რა დაეშვეს საცოდავმა მედავითნეებმა, რომ მათი სამსახური ასე დაშცირებულია?—ჩვენი გაუგებრობა. — გამტყუნებული იმედი.—წერილი ჰეტერბურგიდამ.—წერილი მოსკოვიდამ.—ჰედაგოგიის ისტორიიდგან.—წერილები რედაქციის მიმართ.—მიგვნრა-მოგვნრა (ლექსი).—მოსკოვის მიტროპოლიტი სერგი.—ახალი ამბები და შენიშვნები.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Дозволено цензурою. Кутаисъ, 14 Сентября 1893 г.*
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хамановыхъ на Нѣмецкой ул.